ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ს და ს №18-21

ქ. თბილისი **2021 წელი**

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი,** წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, **ალექსანდრე თევდორაძის** სახით (შემდგომში - **„შემსყიდველი“**) და მეორე მხრივ, შპს „სქაიტელი“ (ს/კ 400013748, იურ. მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ., N 23ა) წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ ხოჯაშვილის (პ.ნ. 01017007444) სახით (შემდგომში - „**მიმწოდებელი**“), შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი როგორც „მხარეები“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 4[1] მუხლის, მე-9 მუხლის, „საკომუნიკაციო მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულების, 2021 წელს გაფორმებული „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და დანართი N1-ით განსაზღვრულ სხვა შემსყიდველ ორგანიზაციებს შორის შეთანხმების“ და შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის – ქონების მართვისა და ლოჯისტიკის სამსახურის 2021 წლის 26 იანვრის №685-2 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

<u>მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი</u>

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის** ინტერნეტ კავშირით უზრუნველმყოფი მომსახურების (შემდგომში - **„მომსახურება“**) შესყიდვა (CPV72400000; 72410000).

1.2. ინტერნეტკავშირის ტიპი, სპეციფიკა და მოცულობები, ყოველთვიურ ტარიფთან ერთად წარმოდგენილია **დანართ N1-ში.**

<u>მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება</u>

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, შეადგენს **143’440.72 (ასორმოცდასამი ათას ოთხას ორმოცი ლარი და 72 თეთრი) ლარს** და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადს (მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადს).

2.2. მომსახურების ტარიფები და ყოველთვიური გადასახადი წარმოდგენილია დანართ N1- ში..

<u>მუხლი 3. ანგარისწორების წესი და ვადები</u>

3.1. ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდება 2021-2022-2023 საბიუჯეტო წლების ასიგნებებით შემდეგი მოცულობებით:

3.1.1. 2021 წლის საბიუჯეტო ასიგნებებით: **46 342.24** ლარი

3.1.2. 2022 წლის საბიუჯეტო ასიგნებებით: - **48 549.24** ლარი

3.1.3. 2023 წლის საბიუჯეტო ასიგნებებით: **- 48 549.24 ლარი**

3.2. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი), ამ ხელშეკრულებით გათვალისიწნებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.3. შემსყიდველი ანგარიშწორებას ახორციელებს ყოველთვიურად, მიმწოდებლის მიერ ყოველთვიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.4. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს 3.3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

<u>მუხლი 4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი</u>

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული მომსახურების გაწევა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

4.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება შემსყიდველის იმ ლოკაციაზე, რომელიც მითითებულია დანართ N1-ში.

<u>მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი</u>

5.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2. მხარეები გაწეული მომსახურების შესაბამისად მიღება-ჩაბარების გაფორმებას უზრუნველყოფენ ყოველთვიურად.

5.3. მომსახურების შემოწმებას/კონტროლს, მიღება-ჩაბარებას და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმებას უზრუნველყოფს შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის – **ქონების მართვისა და ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი ან/და ამვე სამსახურის უფროსის მოადგილე ან ქონების მართვისა და ლოჯისტიკის სამსახურის უფლებამონაცვლე სამსახურის უფლებამოსილი პირი.**

<u>მუხლი 6. მომსახურების შესაბამისობა</u>

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს დანართ N1-ის ტექნიკურ მოთხოვნებს და მსგავსი მომსახურებისთვის უკვე არსებულ სტანდარტებს.

6.2. ამ მუხლის 6.1 პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს გაწეული მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

<u>მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი</u>

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების შესაბამისად;

ბ) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტით განსაზღვრული პირობებით;

გ) ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

დ) უმოკლეს დროში აცნობოს შემსყიდველს მისი ორგანიზაციის რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;

ე) აცნობოს შემსყიდველს დიდი მასშტაბის დაზიანების დროს (სტიქია/მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები და ა.შ) ინტერნეტის მიწოდების შეწყვეტის შესახებ, რომელიც არ არის გამოწვეული მიმწოდელის მიზეზით. ასევე აცნობოს პრობლემის აღმოფხვრისათვის საჭირო დრო და შესთავაზოს ინტერნეტის მიწოდების ალტერნატივა, თუ ინტერნეტის მიწოდების აღდგენას ესაჭიროება 24 საათზე მეტი;

ვ) გეგმიური ტექნიკური სამუშაოები, რომელიც გამოიწვევს ინტერნეტის მიწოდების შეწყვეტას, უნდა განხორციელდეს არასამუშაო დროს და აღნიშნულის შესახებ უზრუნველყოფილ უნდა იქნას შემსყიდველის შემსყიდველის წინასწარი გაფრთხილება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ეტაპებისა და ვადების დაცვით;

ბ) მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს ინსპექტირება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პიროებების შესრულების მიმდინარეობაზე.

<u>მუხლი 8. ფორს-მაჟორი</u>

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობეს აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

8.2. მხარე რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

<u>მუხლი 9. პასუხისმგებლობა</u>

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო, რომლის გადახდაც უნდა უზრუნველყონ მეორე მხარის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში:

9.1.1. ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, თოთოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშკრულების ღირებულების 0.1% -ის ოდენობით, ხოლო მომსახურების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2%-ის ოდენობით;

9.1.2. მომსახურების არაჯეროვნად შესრულება წარმოადგენს გარემოებას, რომლის დროსაც შემსყიდველს არ მიეწოდება ინტერნეტი ან/და მიეწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოცულობაზე ნაკლები, ან/და ინტერნეტის მიწოდების დროს ფიქსირდება წყვეტები - აღნიშნული ხარვეზების შესახებ შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის ოფიციალურ მეილზე ინფორმაციის მიწოდებიდან კომპანია ვალდებულია გონივრულ ვადაში აღმოფხვრას დაზიანება, მაგრამ არაუგვიანეს, ასეთი დაზიანების აღმოფხვრისათვის ***„ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტით“*** განსაზღვრული ვადებისა (აღნიშნულში არ მოიაზრება გადაუდებელი სარემონტო თუ პროფილაქტიკური სამუშაოები). წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ხარვეზები ჩაითვლება არაჯეროვან შესრულებად და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასატეხლო, გარდა მე-7 მუხლის 7.1. პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტის განსაზღვრული გარემოებისა.

9.1.3. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.3. პუნქტით განსაზღვრული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო, თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში თუ ამავე მუხლის 9.1.1. და 9.1.2. პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, მხარეებს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. მიმწოდებელზე დაკისრებული 9.1.1. პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლოს 9.1. პუნქტით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს გაწული მომსახურების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

<u>მუხლი 10. კონტროლი/ინსპექტირება</u>

10.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი/ ინსპექტირება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შესრულების ინპექტირებას ახდენს შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის – **ქონების მართვისა და ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი ან/და ამვე სამსახურის უფროსის მოადგილე ან ქონების მართვისა და ლოჯისტიკის სამსახურის უფლებამონაცვლე სამსახურის უფლებამოსილი პირი.**

<u>მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა</u>

11.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზეც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

11.3. ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა - იმ შემთხვევაში თუ არსებობს 11.4 პუნქტში მოცემული გარემოებები.

11.4. მხარე უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) თუ სახეზეა ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.2. პუნქტით განსაზღვრული გარემოება;

ბ) მეორე მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

გ) მეორე მხარის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

დ) მეორე მხარის ქონებას დაედო ყადაღა;

ე) მიმდინარეობს მეორე მხარის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

11.5. მხარის მიერ ხელშეკრულების 11.4 პუნქტში მოცემული საფუძვლებით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მეორე მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და მხარეთა მიერ დადასტურებულია ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული კვალიფიციური შტამპით.

12.2. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

12.3. მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.4. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული შეთანხმება მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ცვლილების ან დამატების ინიციატორი მხარე ვალდებულია, წრილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ცვლილების ან დამატების საჭიროების დასაბუთებული ინფორმაცია.

12.5. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულების ზრდა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ს.

12.7. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებულ უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2024 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

მუხლი N14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**	***მიმწოდებელი: შპს „სქაიტელი“***
ს/კ: 211 343 982	ს/კ: 400013748
მისამართი:	მისამართი: თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ., N 23ა
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	მომსახურე ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიშის ნომერი: GE 24 NB 0330 1002 0016 5022	ანგარიშის ნომერი: GE22PC0383600100001398
დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე	***დირექტორი:***
ალექსანდრე თევდორაძე	***არჩილ ხოჯაშვილი***

Aleksandre Tevdoradze Digitally signed by Aleksandre Tevdoradze Date: 2021.01.26 20:48:22 +04'00'

SKYTEL LTD Digitally signed by SKYTEL LTD Date: 2021.01.26 20:58:48 +04'00'

დანართი №1

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შპს სქაიტელს შორის
2021 წელს გაფორმებულ ს და ს 18-21 ხელშეკრულებაზე

შესყიდვის ობიექტი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტიის** ინტერნეტის მომსახურება.

პირველი ლოკაცია თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ.N12

მიწოდებული ინტერნეტ კავშირის მომსახურების პაკეტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ძირითად მოთხოვნებს:

- სიმეტრიული არხი (Upload=download);
- კავშირის სიჩქარე **ლოკალი** - 250 მბ/წმ / **გლობალი** - 200 მბ/წმ
- დაყოვნება (Ping)<100ms;
- ჯიტერი 100 მს;
- საიმედოობის დონე: უმაღლესი;
- შეერთების კოეფიციენტი 99,5%;
- მომსახურების დონე: პირველი;
- ტექნიკური მხარდაჭერა: კვირაში 7 დღე 24 საათი;
- პერსონალური მენეჯერის მომსახურება;
- პაკეტების დანაკარგი 3%,

№	მომსახურების აღწერილობა	წელი	მომსახურების გაწევის პერიოდი (თვე)	ინტერნეტ მომსახურების ღირებულება	ყოველთვიური ცენტრალურ წერტილში შემავალი ლოკალის ღირებულება (2 gbps)	SD WAN-ის ყოველთვიური ღირებულება	ინსტალაციის ღირებულება	ყოველთვიური ჯამური ღირებულება
1	ინტერნეტის კავშირის მომსახურება	2021	იანვარი (არასრული თვე)	1108	21.05	75	20.10	1224.15
	ინტერნეტის კავშირის მომსახურება **(მის: ალ. ყაზბეგის N12)**	2021 2022 2023	ყოველთვე	3 125	21.05	75	20.10	3,241.15
ჯამური ღირებულება (ლარი დღგ-ს ჩათვლით) (35 თვე X 3241.15) + 1224.15 (2021 წ. იანვარი) = **114 664.40 ლარი**								

*მომსახურების ღირებულება მოცემულია ლარში, დღგ-ს ჩათვლით.

მეორე ლოკაცია ქუთაისი: ზ.ფალიაშვილის ქ.N33

მიწოდებული ინტერნეტ კავშირის მომსახურების პაკეტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ძირითად მოთხოვნებს:

- სიმეტრიული არხი (Upload=download);
- ლოკალური კავშირის სიჩქარე 80 მბ/წმ
- დაყოვნება (Ping)<100ms;
- ჯიტერი 100 მს;
- საიმედოობის დონე: უმაღლესი;
- შეერთების კოეფიციენტი 99,5%;
- მომსახურების დონე: პირველი;
- ტექნიკური მხარდაჭერა: კვირაში 7 დღე 24 საათი;
- პერსონალური მენეჯერის მომსახურება;
- პაკეტების დანაკარგი 3%,

№	მომსახურების აღწერილობა	წელი	მომსახურების გაწევის პერიოდი (თვე)	ინტერნეტ მომსახურების ღირებულება	ყოველთვიური ცენტრალურ წერტილში შემავალი ლოკალის ღირებულება (2 gbps)	SD WAN-ის ყოველთვიური ღირებულება	ინსტალაციის ღირებულება	ყოველთვიური ჯამური ღირებულება
1	ინტერნეტის კავშირის მომსახურება	2021	იანვარი (არასრული თვე)	85	42.11	150	40.20	317.31
	ინტერნეტის კავშირის მომსახურება **(ფალიაშვილის ქ.N33)**	2021 2022 2023	ყოველთვე	240	42.11	150	40.20	472.31
ჯამური ღირებულება (ლარი დღგ-ს ჩათვლით) (35 თვე X 472.31) + 317.31 (2021 წ. იანვარი)= **16 848.16 ლარი**								

*მომსახურების ღირებულება მოცემულია ლარში, დღგ-ს ჩათვლით.

მესამე ლოკაცია ბათუმი: ფარნავაზ მეფის ქ.N3

მიწოდებული ინტერნეტ კავშირის მომსახურების პაკეტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ძირითად მოთხოვნებს:

- სიმეტრიული არხი (Upload=download);
- ლოკალური კავშირის სიჩქარე 30 მბ/წმ
- დაყოვნება (Ping)<100ms;
- ჯიტერი 100 მს;
- საიმედოობის დონე: უმაღლესი;
- შეერთების კოეფიციენტი 99,5%;
- მომსახურების დონე: პირველი;
- ტექნიკური მხარდაჭერა: კვირაში 7 დღე 24 საათი;
- პერსონალური მენეჯერის მომსახურება;
- პაკეტების დანაკარგი 3%,

№	მომსახურების აღწერილობა	წელი	მომსახურების გაწევის პერიოდი (თვე)	ინტერნეტ მომსახურების ღირებულება	ყოველთვიური ცენტრალურ წერტილში შემავალი ლოკალის ღირებულება (2 gbps)	SD WAN-ის ყოველთვიური ღირებულება	ინსტალაციის ღირებულება	ყოველთვიური ჯამური ღირებულება
1	ინტერნეტის კავშირის მომსახურება	2021	იანვარი (არასრული თვე)	35	42.11	150	40.20	297.31
	ინტერნეტის კავშირის მომსახურება (**ფარნავაზ მეფის ქ.N3)**	2021 2022 2023	ყოველთვე	100	42.11	150	40.20	332.31
ჯამური ღირებულება (ლარი დღგ-ს ჩათვლით) (35 თვე X 332.31) + 297.31 (2021 წ. იანვარი) = **11,928.16 ლარი**								

*მომსახურების ღირებულება მოცემულია ლარში, დღგ-ს ჩათვლით.

2021-2023 წლებში ხელშეკრულების ჯამური ღირებულება (ლარი დღგ-ს ჩათვლით) - (სამი ლოკაციის ჯამური) = **143’440.72 ლარი**